უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს აღდგომის დღესასწაული მიულოცა

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მისალოცები გაუგზავნა. მისალოცი წერილებში, რომელთა ადრესატები არიან: ანტიოქიის უნეტარესი პატრიარქი იოანე X, იერუსალიმის უნეტარესი პატრიარქი თეოფილე III, სრულიად საქართველოს უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, სერბეთის უწმიდესი პატრიარქი პორფირე, რუმინეთის უნეტარესი პატრიარქი დანიელი, ბულგარეთის უწმინდესი პატრიარქი ნეოფიტე, ტირანისა და სრულიად ალბანეთის უნეტარესი მთავარეპისკოპოსი ანასტასი, ვარშავისა და სრულიად პოლონეთის უნეტარესი მიტროპოლიტი საბა, ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის უნეტარესი მიტროპოლიტი როსტისლავი, კანადისა და სრულიად ამერიკის უნეტარესი მიტროპოლიტი ტიხონი, ოხრიდისა და მაკედონიის უნეტარესი მთავარეპისკოპოსი სტეფანე, ნათქვამია:

ქრისტე აღდგა!

აღდგომის კეთილი უწყების ამ სიცოცხლის დამადასტურებელი სიტყვებით, გულითადად მოგესალმებით თქვენ დღევანდელ დღეს, როდესაც „ვდღესასწაულობთ თვით აღდგომას, რომელსაც ჯერ არ ველოდებით, მაგრამ რომელიც უკვე აღსრულდა და მთელი სამყარო თავისთან შემოირიგა“ (წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვა წმინდა აღდგომაზე).

უფალი იესოს მსხვერპლშეწირვა და მისი ღვთაებრივი აღდგომა, ნაზიანზელი წმიდა მღვდელთმთავრის

მოწმობით, „აღადგენს, შემოკრებს და აერთიანებს მთელ სამყაროს“, ურყევ საფუძველს უყრის ქმნილების პირვანდელი სილამაზით აღორძინებას.

ჩვენი სულიერი ერთიანობით გახარებული, ლოცვით გისურვებთ თქვენ ჯანმრთელობას, ძალების სიმტკიცეს და ღვთის უხვ დახმარებას უმაღლეს საწინამძღვრო მსახურებაში, ხოლო თქვენს ღვთისმოსავ სამწყსოს – მშვიდობასა და ცხონებას.

ძმური სიყვარულით აღდგომილ ქრისტეში,

+კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90244/